1 (12) ივლისი, 1866. № 18. პირველი წელიწადი.

გაზეთის ფასი:

| | გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| 10-ის თვისა | — 6 — | — — — 5 — |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ქ. ზუბალოვის სახლში. —

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ.

---

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

---

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულება: — ბძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში. — ტფილისის ფოჩტის სამმართველოსაგან. პოლიტიკა. — ფრანცია. — გერმანია. — ბელგია. — იტალია. — სამხედრო მოქმედების ამბავი გერმანიაში. ტელეგრამმები. ფელეტონი: — რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდგან. სახაზინო განცხადებაები. ბიბლიოგრაფიული ცნობა.

---

### მმართებლობის განკარგულება.

#### ბძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

1866 წელს 5 ივნისს; დაბასა ბორჯომს. — დათხოვნილთაგანნი დაინიშნებიან ისევ სამსახურში: მედიცინის დოქტორი, კოლლეჟსკი სოვეტნიკი ანტონ კასტელლანო სამოქალაქო უწყების მედიცინის ნაწილის სამმართველოში კავკასიის მხარეს, უშტატოთ. გადაიყვანებიან: უეზდის აქიმები: სიღნახის, კოლლეჟსკი ასესორი საკოვი და გორის, ტიტულიარნი სოვეტნიკი წურინოვი ერთი მეორის ადგილზედა. მესამე მეჟევის კამმისიის სამსჯავრო წევრის (судебный членъ) თანამდებობის აღმასრულებელი, გუბერნსკი სეკრეტარი წინამძღვრის-შვილი და მეშვიდე მეჟევის კამმისიის სამსჯავრო წევრი, ნადვორნი სოვეტნიკი ხატისიანი — ერთი მეორის ადგილზედ. (1866 წლის 10 მაისიდამ). სამსახურში დამტკიცდებიან: ფოთის ფოჩტის მეისტერი, კოლლეჟსკი რეგისტრატორი ანდრეევსკი, რომელიც აქამომდე იყო ამ თანამდებობის აღმასრულებელი. დროებით დაითხოვებიან: კოლლეჟსკი სოვეტნიკები: ტფილისის სისხლის სამართლის (уголовнаго) და სამოქალაქო სამსჯავროს სოვეტნიკის თანამდებობის აღმასრულებელი წინამძღვრის-შვილი — ქ. პიატიგორსკში და ფოთის საკარანტინო-დამოჟნის კანტორის წევრი მილევსკი კოვენისა და პეტერბურგის გუბერნიაში.

ხელმოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი, ღენერალ-ფელდცეიხმეისტერი მიხეილ.

#### ტფილისის ფოჩტის სამმართველოსაგან.

ტფილისის ფოჩტის სამმართველო საზოგადოებას და სასამართლოებს აცნობებს, რომ, მისის იმპერატორებითის უმაღლესობის კავკასიის ნამესტნიკისაგან დამტკიცებულის წარწერილებით, ერევნის და ქუთაისის ტრაქტებზედ (სავალი გზა) ივლისის პირველს რიცხვიდამ ფოჩტა ივლის საფოჩტო ეკიპაჟებით. ამის გამო ზემოხსენებულ ტრაქტებზედ ყოველი გვარი კორრესპონდენციები (გასაგზავნი საგნები) მიიღება დილის 8 საათიდამ 12 საათამდე შემდეგს დღეებში:

ერევანსა და ჯულფს მიმავალს ტრაქტზედ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. ალექსანდროპოლს (გუმბრს) ოთხშაბათობით და პარასკეობით. ახალ-ბაიაზეთს (Ново-Баязетъ) ოთხშაბათობით, ქუთაისის ტრაქტზედ კი, როგორც უწინ იყო, სამშაბათობით და პარასკევობით. ამასთან უნდა იცოდნენ, რომ მძიმე ტვირთებს და ცალებს (тюкъ) პოჩტაში არ მიიღებენ.

---

### პოლიტიკა.

**ფრანცია.** გერმანიის კავშირის დარღვევა. 17 ივნისს გაზეთში (Patrie) არის დაბეჭდილი შემდეგი სტატია: „გერმანიის კავშირი აღარ არსებობს. ამ სიბრძნის ნაყოფმა, რომელიც 1815 წლისგან იყო გამოღებული და რომელსაც შეუცვლელად უნდა გაეტარებინა საუკუნოები, მხოლოდ 51 წელი იცოცხლა! ეს ხანი კაცობრიობის ცხოვრებაში მხოლოდ ერთ დღეთ თუ ჩაითვლება. მაგრამ რა არის მიზეზი ამ გვარის მოსწრაფებულის სიკვდილისა? ამ კავშირის დარღვევას, რომელიცა იყო შეკრული ფრანციის და ნაპოლეონების (*) სამტროდ, იქნება თვით ფრანციამ ძალა დაატანა, რადგანაც იმას სურს თავის საზღვრებს გარე გაავრცელოს იდეა (აზრი) თავისუფლებისა, თანასწორობისა და განათლებისა? — სულაც არა. — კონფედერაციამ (სახელმწიფოების კავშირმა) მოიკლა თავისი თავი, ამისთვის, რომ გერმანიის ხალხებმა ველარ აიტანეს იმის სიმძიმე. ის იმდენად სამუქარო არ იყო ფრანციისათვის, რამდენათაც თვით გერმანიის ხალხების თავისუფლებას ავიწროებდა. თვით ხელმწიფეებიც პატივს აღარ სცემდნენ ფედერალურს (კავშირის) პირობაებს. ბოლოს პრუსსიამ გაბედა გამოცხადება, რომ კავშირი აღარ არსებობს; იმან მხოლოდ ოფიციალურად გამოაცხადა ის ფაქტი (შემთხვევა, მოხდომილება), რომელიც არავისგან საეჭვო აღარ იყო. ამ შემთხვევაში იმან დასდვა ვალი გერმანიას და ფრანციას.

„უეჭველია, რომ ამ საქმეში პრუსსია თავისას სარგებლობისა მებრ მოქმედებდა — მაგრამ სახელმწიფოს კაცების მოქმედებაც ის არის, რომ იმათ ისე იმოქმედონ, როგორც მოითხოვს იმათი სახელმწიფოების ინტერესი (სარგებლობა).

„ფედერაციის ორგანიზაცია (აგებულება) უფრო ავსტრიის სასარგებლოდ იყო დაარსებული და ამისგამო მომცრო სახელმწიფოებსაც იმისი მხარე ეჭირათ. თავს-მჯდომარეობაც სეიმში (კრებაში) ავსტრიას ეკუთვნოდა და ეს თითქო კიდეც ნიშნავდა იმის უპირატესობას; მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ ამ გვარი წესი ეწინაალმდეგებოდა გონიერებითს და მატერიალურს (ნივთიერებითს) წინ-მსვლელობას გერმანიისას.

— „კავშირს ჰქონდა ისე ცოტა შინაგანი ერთობა, რომ წევრები ერთმანეთში შეთანხმდებოდნენ ხოლმე საფედერაციო სჯულის წინაალმდეგ. ბევრნი კონფედერაციის წევრნი მოახდენდნენ ხოლმე ცალკე მოლაპარაკებას და კიდევ დიდი ხანი არ არის რაც ბამბერგში პირობა უნდოდათ დაედვათ, რომ მოეხმარნათ იმისთანა საშუალება, რომლითაც შეიძლებოდა პრუსსიას უარი ეთქვა ვენის და გაშტეინის ტრაქტატებისგან მოპოებულის სარგებლობაზედ; აგრეთვე უნდა აღეკრძალათ

(*) ნაპოლეონი I რომ ტახტიდამ ჩამოაგდეს, 1815 წელს ვენის კონგრესში დასდვეს, რომ იმის საპლობიდგან არავინ ყოფილიყო ფრანციის სახელმწიფო ტახტზედ. ნაპოლეონს ჰყვანდა მაშინ რამდენიმე ძმა და ერთი შვილი, რომელსაც ერქვა ნაპოლეონი II, ღერცოგი რეიხშტადისა. ახლანდელი ნაპოლეონი III არის ძმისწული დიდის ნაპოლეონისა.

---

### ორიოდე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ.

#### VI.

ახლა ისევ ჩვენ ბედკრულაძეს დავუბრუნდეთ. გაზაფხულის სუნი დატრიალდა თბილისში, მაგრამ ჩვენს ბედკრულაძის სახლობას კი ისევ ზამთრის სუნი ასდიოდა. რაც იყო; ისევ ის არის. ბევრი არა მომატებია რა. ამათთვის დროების ცვლა არ არის, რადგან იმას ახალი, მანუგეშებელი არა მოაქვს რა. ისევ ის სილარიბე, სილატაკე, სისაწყლე და სისხლის პურის ჭამა... ვინ იცის როდის ესხურებათ უკვდავების წყალი ამ ცოცხალ-მკვდრებს? — მაგრამ ასას-გლახას აღარა ეშველება რა, დიდი ხანია ეს კაცი შემოსწყრა ამ ჩვენ დაუდგრომელ წუთი-სოფელს...

ერთ დილაზედ არამზადაძის დუქნის წინ ხალხი ახვევია რაღასაც და ბუდბუდით თავს იქნევს: ამ საცოდავს ეს რა მოსვლია?! აი, აი, შე საწყალო, რა გამრჯელი კაცი იყავ! ამ დროს გამოჩნდა დურმიშხანიც, დახედა თუ არა ამ დაკრუნჩხულ კაცს, წამოიძახა გულ-გრილად მწარის ღიმილით: ვა, დასწყევლოს სუფ-კარაპეტმა! ეს ქოფაკი ასე რას გაუშვებია?!

— მარტის უკანასკნელს დღეებში, რაღაც საუბედუროთ წავიდა აბანოში ჩვენი გლახა ბედკრულაძე და იმ ღამეს რასაკვირველია, ჩვეულებისა-მებრ, ცის ქვეშ გაათია ღამე დუქნის წინ, რადგანაც არამზადაძემ არ უყაბულა სხვა ვინმე დაეყენებინა დუქნის ყარაულათ. მარტო იმ ღამეს. — ნათბილარჩევ გაცივდა ასას-გლახა (ხომ მოგეხსენებათ ზაფხულში საქართველოში, რომ დღე თუნდ ძალიან ცხელოდეს, — ღამე ცივა და მეტადრე ეხლა, როდესაც ჯერ ისევ გაზაფხული იყო) ველარ დაიძრა დუქნის კარებიდგან, ძვალი და რბილი გაუცივდა, ძარღვები სულ შეეხუთა. აი ამ დროს მოადგა თავზედ ხალხი და იმათში ორიოდ გლახას ამხანაგები, იმათ მაშინვე დაუდვეს პოვოსკაზედ საცოდავი მკვნესარე ბედკრულაძე და გაიტანეს სახლში ბერაზედ.... ცოლი გაგლეჯილი, ფეხ-შიშველი, ნატუსალასავით, ათას ფერად დაკონკებულის, ბოლით შემჭვარტლილი და აქა-იქ შეხეული კაბით გამოეგება ქმარს, და რომ დაინახა ქმარი ამ ყოფაში შემოიკრა თავში ხელები, თმა ჩამოიფუშა და მივარდა კივილით: კაცო, ვაჲ ჩემ თავს, ეგ რა უბედურობა მოგვსვლია, რას უწრიხარ, რათა კვნესი?!

— რა ვქნა, უპასუხა ქმარმა, ღმერთი რომ კაცზედ მოიცლის, — მოიცლის: ან სულ გაანადგურებს, ან არა და იმის ოჯახში მოწყალების კალთას დაიბერტყს...

— რა იყო, რა, ჩქარა სთქვი, ეუბნებოდა ცოლი...

— ჭუჭყმა და კბენარმა შემაწუხა და რაღაც ეშმაკათ გუშინ საღამოზედ აბანოში წაველდი და კარზედ წოლაში დუქნის წინ გავცივდი, მერე, ჩემ საუბედუროთ წვიმიანი ღამეც იყო და ციოდა კიდეცა. — კაცო და, იქ რაღას დაწვექი, წამოხვიდოდი შინა... მაგტელი როგორ არ იცოდი, შე ჩემი ცოდით სამსევ...

— მაშ განა არ დავაპირე? ბევრიც ვეხვეწე ჩემ აღას შინ წავალ, ავათ არ გავხდე ნათბილარზედ, ერთი მარტო ხელი, ჯან-გატეხილი კაცი ვარ, ჩემი ოჯახობის მოვალეობაში არ ჩავდგე მეთქი; ისიც უთხარი, რომ ამაღამ ჩემი ხარჯით დუქანს ჩემ მაგიერ ყარაულს დაუყენებ მეთქი. მაგრამ იმან ჩემი თხოვნა ყურშიაც არ შაუშვა... უცხო კაცს ვერ ვენდობიო, იძახდა, — ეშმაკობაში თქვენი — გლეხკაცობისთანა-გაოსტატებული არავინ არისო... უიმისოთაც ხეირი არ მინახავს, სულ ზარალში ვარ, რაც შენ ჩემ დუქანს ყარაულობო, ნავსი ხარო, ცუდი ფეხი გაქვსო. რაღაებიც მიჰქარა, სომხურათ იგინებოდა... ოჯახი დაექცა, სახლ-კარი ამოუწყდა, როგორც მე იმან მომიდნო და მომინელა, დამტანჯა.-თავის ქნევით, კვნესით და შეჭმუხვნილი სახით ამბობდა... აქ სიტყვა გააწყვეტინა ქმარსა გულ-ამომჯდარმა მტირალმა ცოლმა: ვუჲ, უწინამც დღე დაელიოს იმას და თავისი ბაიყუში თავი ამოიჭამოს, ჩვენ კარგათ ყოფნაში... წუწუნით და ცრემლიანის თვალებით თავს ევლებოდა ცოლი; როგორც სახლში შეიტანეს, მაშინვე მეზობელ დედაკაცებს დაუძახა საწამლავათ; ყველა მეზობლები მაშინვე მოეშველნენ: მოუშუშეს რაღაც ფაფა-ფუფა, ხან ქატო და ხან ცხელი აგური ადეს ტანზედ, სადაც ჭვალს იყენებდა; მაგრამ თბილ-თბულმა ვერა უშველა რა, უფრო და უფრო ემატებოდა ტკივილი, მთელი ტანის ასოები სტეხდნენ და ამ წვა და დაგვით გაატარა ეს ღამე; მაღლა კვნესოდა ბერიკაცი. დილით უფრო შემძიმდა. ამისთვის სად არის ექიმი, ან რა ექიმი უნდა. ეს ბ ე დ ი ს ა გ ა ნ - დ ა ჩ ა გ რ უ ლ ი ხალხია, რიგიან წამალს ვინ აღირსებს!.. ამის შეძლება ამათ სადა აქვთ და მუქთათ ცარიელ ღვთისწყალობასაც არავინ გეტყვის ჩვენში.. დედაკაცებმა ურჩიეს ცოლს კ ო დ ე ლ - ნ ი ნ ო ს თ ა ნ წასვლა ავლაბარში; იმასაც რა ექნა, მეტი ღონე აღარ იყო; ჰაი-არად სად კაბა იშოვნა, და სად ქოშები, სად ჩადრი და სად თავ-სახვევი, ერთი სამი მანეთიც ფული ისესხა და ძლივს წვალებით, როგორც იყო, წავიდა მკითხავთან.

— მკითხავმა ჯერ კარგათ გამოჰკითხა დაწვრილებით ყველა ფერი, რაც უნდოდა და რაც მკითხაობისთვის საჭირო იყო; მერე დაუწყო თავ-მოწონებით, ვითომ სულ მიხვდა. აი, ჩემო დაო, უყურე (ქერზედ აჩვენა), თეთრი გიორგი გწყალობდეს, იმის მადლი ეჭიდება შენ ქმარსა, შეთქმულიცა ჰქონია და არ წასულა დღეობაზედ სალოცავათ. ეხლა ის უნიშნო (*) ცხვარს ითხოვს, საწირავს და სანთელ-საკმელს; თუ დროზედ არ წაიყვანე, და ღამე არ უთიეთ, — ხელიდგან გამო-

(*) უნიშნოს ეტყვიან სულ შავი ფერის ცხვარსა.

რეფორმა, რომელიც გერმანიის ხალხისთვის მიუცილებელი საჭიროება იყო.

„მაშასადამე კავშირი მოისპო უფრო განსაკუთრებით შინა მიზეზისაგან. იმისი კერძო წევრები, რომელნიც თავის სახელმწიფო სარგებლობისა მებრ გაცალკევებით მოქმედებდნენ, მიუცილებლად უნდა შემოიკრიბონ, ზოგნი პრუსსიის და ზოგნი ავსტრიის გარემო.

„ეს ახალი მდგომარეობა სადამდის მიაღწევს.?—ცხადია, რომ ომამდის და შემდეგ საფედერალო რეფორმამდის (ცვლილებამდის), რომელსაც სახეში ექნება ცოტა ან მეტი გერმანიის ხალხების კანონიერი წადილი.—რასაკვირველია ეს იმაზედ იქნება დამოკიდებული, თუ რომელი სახელმწიფო გაიმარჯვებს—ავსტრია თუ პრუსსია. ამისთვის ჩვენ გვქონდა სახეში რიგიანი საბუთი რამდენსამე დღის წინათ, რომ გამოვაცხადეთ:—ომი როგორც უნდა გათავდეს, მაინც საფედერალო ცვლილება არის ამ ომის უმთავრესი მიზეზი.

„მაგრამ ყოველს შემთხვევაში კავშირი იმ სახით, როგორათაც ის იყო დარსებული. მაინც საბოლოვოთ დაცემულია და იმის საფლავზედ ასე იქნება დაწერილი:—აქ განისვენებს 1815 წლის ნაყოფი“.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.** შესანიშნავი საცნობია მკითხველებისთვის, თუ რამდენს ჯარს გამოიყვანენ საბრძოლათ მოპირდაპირე სახელმწიფოები, რომელნიც ახლა გერმანიაში ორად არიან გაყოფილნი. რადგანაც ისინი საომრად ემზადებიან, ამისთვის ახლა ბევრად უფრო მომეტებული ჯარი ჰყავთ ვინამც მშვიდობიანობის დროს. პრუსსიის არმიაში ითვლება 600 ათასი კაცი, ავსტრიისაში კი—700 ათასი. აგრეთვე შესაბამად გააძლიერეს თავთავიანთი ჯარები იმ გერმანიის სახელმწიფოებმა, რომელნიც ან პრუსსიისაკენ არიან და ან ავსტრიისკენ.

როგორც შეტყობილი გვაქვს ავსტრიისკენ არიან საკაროლოები: ბავარია, საქსონია, ჰანოვერი, ვირტემბერგი, დიდი საჰერცოგო ბადენისა, ჰესსენ--კასსელი, დიდნი საჰერცოგონი ბრაუნშვეიგისა და ნასსაუსი; ყველა ეს სახელმწიფოები ერთად შეადგენენ 27 მილლიონ მცხოვრებლებს. იმათ შეუძლიანთ გამოიყვანონ 319 ათასი 122 კაცი ჯარი. დანარჩენმა გერმანიის სახელმწიფოებმა პრუსსიის მხარე დაიჭირეს. ამ სახელმწიფოებში მთლად 17 მილლიონი მცხოვრებელი ირიცხება და იმათ შეუძლიანთ 183 ათასი 950 კაცი ჯარი გამოიყვანონ; მაგრამ იმათ მხოლოდ ნეიტრალიტეტობა აღუთქვეს პრუსსიას, ესე იგი ბრძოლაში არ გაერევიან.

**ᲑᲔᲚᲒᲘᲐ.** ბელგიაში ამორჩევა გათავდა იმითი, რომ ლიბერალურს პარტიას მოემატა სენატში 12 ხმა, პალატაში—20 ხმა.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.** ფლორენციიდამ ტელეგრამმით იწერებიან, 20 ივნისს, რომ სამინისტრო შესდგაო ამ სახით:

ბ ა რ ო ნ ი რ ი კ ა ზ ო ლ ი დაინიშნა რჩევის პრეზიდენტათ (თავს-მჯდომარეთ) შინაგანის საქმის მინისტრათ და უცხო ქვეყნის საქმის სამინისტროს მმართველად. გ ე ნ ე რ ა ლ ი ლ ა მ ა რ მ ო რ ა უპორტფელო მინისტრად იქნება კაროლთან.

ვ ი ს კ ო ნ ტ ი-ვ ე ნ ო ს ტ ა,—რომელიც კოსტანტინოპოლიდამ უნდა მოვიდეს, მიიღებს უცხო ქვეყნის საქმის პორტფელსა.

ბ ო რ გ ა ტ ტ ი—იუსტიციის (სამსაჯულო) მინისტრად.

დ ე პ რ ე ტ ი ს ი—ზღვის მინისტრად.

კ ო რ დ ო ვ ა—სასოფლო სამეურნეო მინისტრად.

უ. უ. პ ე ტ ი ნ ე ნ გ ო, შ ი ა ლ ო ი ა და ი ა ჩ ი ნ ი დარჩებიან თავისის პ ო რ ტ ფ ე ლ ე ბ ი თ ა.

იტალიის არმია, რომელიც მდინარეების მინჩიოსა და პოს პირებზედ დგას, შეიცავს 4 კორპუსსა. იმის ქვეითი და მასროლი ჯარი 16 ქვეითს დივიზიას შეიცავს. ბერსალიიერებს ბატალიონებიც თექვსმეტი არის .ამ რიცხვში არ შედის არც არტილლერია, არც ინჟინერის ჯარი და არც კავალერია, ამისთვის რომ იმათი რიცხვი კარგათ არ ვიცით.

პირველი კორპუსი ლოდს დგას და იმის წინამძღომელი არის გენერალი დურანდო. ეს კორპუსი არის შემდგარი 4 დივიზიისაგან, მაშასადამე შეიცავს 8 ბრიგადას, 16 პოლკს, ან 64 ბატალიონს, თითო ბატალიონში რომ 700 კაცი ჩავაგდოთ, მაშინ მთელს ამ კორპუსში გამოვა 44 ათასი 800 კაცი. პირველის კორპუსის დივიზიების სარდლებათ არიან გენერლები: სერალე, პიანელი, ბრინიონე და სირტორი.

მეორე კორპუსის შტაბის სადგომი იმყოფება კრემონაში. ის შეიცავს სამს დივიზიას; თვითო დივიზიაში 6 ბრიგადა, ესე იგი 12 პოლკი, ანუ 48 ბატალიონი. თვითო ბატალიონში 700 კაცი რომ ჩავაგდოთ, მთლად ამ კორპუსში გამოდის 33 ათასი 600 კაცი. მეორე კორპუსის დივიზიების სარდლები არიან გენერლები: ნუნციანტე, კოზენცა და კადორნა. კორპუსის წინამძღომელი არის გენერალი კუჩჩიარი.

მესამე კორპუსი, გენერლის დელლა-როკას წინამძღომლობის ქვეშე არის დაბინავებული პიაჩენცაში. იმაში იმყოფება 4 დივიზია, ესე იგი 8 ბრიგადა, 16 პოლკი, ანუ 64 ბატალიონი. თვითო ბატალიონში 700 კაცია. მთლად კორპუსს 44 ათასი 800 კაცი შეადგენს. დივიზიის სარდლებად არიან: გენერლები ბიკსიო, კუჯია, გოვონე და პრინცი ჰუმბერტი (ვიკტორ-ემმანუელის შვილი).

მეოთხე კორპუსი შეგროვილია ბოლონიაში და იმის წინამძღოლად გენერალი ჩიალდინი არის. ეს კორპუსი 5 დივიზიისგან არის შედგენილი. ისინი შეიცავენ 10 ბრიგადას, ანუ 20 პოლკს, რომელნიც 80 პოლკებად დაიყოფებიან და მთლად იმათში 56 ათასი კაცი იმყოფება. დივიზიებს წინ მიუძღვიან გენერლები: კაზანოვა, რიკოტტი, მეუცაკაპო, ჩიაჟერა და მედიჩი.

იტალიის არმია, რომელიც მდინარის პოს ნაპირების გაყოლებაზედ დაბინავებულია, საზოგადოთ 179 ათასს 200 კაცამდის არის შედგენილი. ამ რიცხვს უნდა მიუმატოთ ათას ათასი კაცი ბერსალიერები თვითო დივიზიაზედ. ისინი შეიცავენ 16 ათასს კაცს. მთლად ამიანათ და სალინიო ჯარიანათ 195 ათასი კაცი არის.

ახლა რომ ანგარიშში მივიღოთ არტილლერია, საინჟინერო ნაწილი, და გარდა ამისა სარეზერვო კავალერიის დივიზია, რომლის სარდლათაც გენერალი სონაზი არის, მაშასადამე ჩვენ დაახლოვებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იტალიის არმიაში ახლა 200 ათასი შეიარაღებული კაცი არის. ამ ჟამად გროვდება კიდევ მეხუთე კორპუსი, რომლის უმთავრესი ადგილ-სადგომი (главная квартира) იქნება ფლორენციაში. ეს კორპუსი უნდა შეიცავდეს 44 ათასს 800 კაცსა. მეექვსე კორპუსს კი გარიბალდის ვოლონტერები შეადგენენ. ხმა არის, ვითომც მმართებლობას გადაეწყვიტოს, რომ ვოლონტერების ჯარი ახალის ათის პოლკით განაძლიერონ. მთლათ უწინდელის შეგროვილის პოლკებით შედგება 30 ათასი კაცი. ამ ჟამად მხოლოდ 8 პოლკი შედგება გალაშქრებას. მთლად თვითო პოლკი შეიცავს 1,446 კაცსა.

თუ საჭირო იქნება, გარდა მოძრავის ჯარისა, მმართებლობას ჰყავს სარეზერვო და შეუმზადებელი ჯარები. იმათი რიცხვი შემდეგი არის: ვადა-დაუდებლათ გაშვებულნი, რომელთაც მოუწოდეს წარსულს მაისს, შეადგენენ 140 ათასს კაცსა; 1846 წლის რიგისანი 45 ათასი კაცი არის; 1845 წლის მეორე რიგისა 40 ათასი კაცია. 1844 წლისა 30 ათასი კაცია; 1843 წლისა—37 ათასი კაცი; 1842 წლისა 32 ათასი კაცია; მთლად მოქმედი ჯარიანათ 564 ათასი კაცია. რომ ცოტა ნამდვილიც არ გამოდგეს ეს ჩვენი გამოანგარიშება, განსაკუთრებით ათას რვაას მეორმოცე წლების შესახებ, მაინც შეგვიძლიან დარწმუნებით ვთქვათ, რომ იტალიას შეუძლიან გამოიყვანოს საბრძოლათ ნახევარი მილლიონი კაცი.

ამბავი იტალიიდგან. ზღვით მეომარი ძალა იტალიისა. Jounrnal des Dèbats-ში გამოცხადებულია უ. პეტრუჩელლი დელლა გატტინის წიგნი, რომელიც გამოგზავნილია ტარენტიდამ, 7 ივნისს: „იტალიის ფლოტი დაარსა იტალიის საკაროლომ. პიემონტის კაროლს ჰქონდა მცირე ფლოტილია; ნეაპოლის კაროლს უფრო მომატებული ფლოტი ჰქონდა. ამ ორივე ფლოტიდგან ბოლოს შესდგა ერთი იტალიის ფლოტი.

ახლა მთელი იტალიის ფლოტი არის შემდგარი 106 სამხედრო გემისგან. ამ გემების ძალა უდრის 30 ათასის ცხენის ძალას და შეიარაღებულია 1,488 ზარბაზნით.

მთელი ფლოტის ეკიპაჟი შემდგარია 1 ადმირალიდგან, 668 აფიცრიდგან, 11,193 მეხომალდისგან (матросъ) და ორის ზღვის ქვეითის ჯარის პოლკიდგან, რომელშიაც ირიცხება 193 აფიცერი და 5,688 სალდათი. სარდინიელების და ნეაპოლელების გარდა, რომლებიც ფლოტში აფიცრებათ არიან, იქ მსახურებენ თითქმის მთელი ავსტრიის ფლოტის აფიცრები, რომლებმაც 1848 წელს აღარ მოინდომეს ავსტრიის სამსახურში ყოფნა, იმ მიზეზით, რომ ისინი ვენეციელები იყვნენ. ამის გამო ჩვენს ფლოტში არის იმისთანა კაცები, რომლებმაც ისე იციან იტალიის ნაპირები ნიცცადამ დაწყობილი ტრიესტამდის, როგორც თავისი ხუთი თითი. იმა

---

გეცლებათ და უთუოთ ერთი რამ ცოდო დაბრუნდება თქვენ სახლში. აი შახედე, თუ არა გჯერა, ამ ქერს, როგორ ყირაზედა დგას და ფხა მოსტეხია; ეს სწორეთ თქვენი დედაბოძის წამოქცევას მოასწავებს... აი, აი, რა ახალ-გაზდა მოსხეპილი ვაჟ-კაცი არის საწყალი,—წამოროში მკითხავმა; ეგონა ცოლისავით ახალგაზდა იქნებოდა ქმარიცა, მაგრამ ნახტომი შაეშალა, გამოცანა ვერ ერგო, ვერ მიხვდა...

—არა, უპასუხა გლახას ჯალაბმა ნაღვლიანის გულით და მტირალის ხმით, ახალგაზდა ვაჟკაცი კი არ არის მართალია, მაგრამ ისევ ჭარმაკად არის, იმ კაცით გვიდგია მთელს ოჯახს პირში სული, სახლი იმაზედ ბრუნავს და ჩვენი ვაჟ-კაციც ის არის და ბერი-კაციც. ამ სიტყვებით აილო და მისცა, შეცთომისაგან სულ-განაბულს და ყურებამდინ გაწითლებულს, მკითხავს გასამრჯელო—ერთი აბაზი, თან წაიდუდუნა: ეგები ღმერთმა ულხინოს... თათრის მეიდანზედ იყიდა ერთი შავი თოხლი სალმრთოსათვის ცამეტ აბაზათა და ერთი აბაზისაც სანთელ-საკმელი და გამოატანა მეზობლის შვილს, რომელიც თანა ჰყვანდა.

მოვიდა, ნახა ცოლმა საწყალი გლახა უფრო შეწუხებული, ენას ურევს, აღარც სხვისა ეყურება რა, ფეხებს და ხელებს მძიმეთ ხმარობს და ხმა მაღლა კვნესის, გალურჯებულა კიდეცა... ამ დროს შემოეხვივნენ დედაკაცები ცოლს სახლის კუნჭულში და ჩაჰჩიჩინებენ: გინდა თუ არა ცხლავ უნდა გაამგზავრო ეს შენი შეწუხებული ქმარი თეთრიგიორგისკენ.—ხატს ბევრი ცდა არ უყვარს, თავათ გამწყრალია შენზედ, თუ არა ერთი რამ ცოდო დატრიალდება ჩვენ უბანში... იმტელი ელაპარაკნენ, რომ ელისაბედი დაიყოლიეს ამ ავათ-მყოფის კაცის წაყვანაზედ,—მაგრამ ბედკრულაძეებისთვის რ ჩ ე ვ ა სულ ტყუილი—ფუჭია; ამათ მხოლოდ შ ე მ წ ე ო ბ ა ეჭირვებათ; მართლაც დაფიქრდა ელისაბედი: რა ვქნა? რითი წავიყვანო? ღმერთმა ხომ იცის, მე ხატის მომდურება არ მინდა, ის არ გამირისხდება, მაგრამ რა წყალში გადავარდე, ვინ რას მომცემს, რომ შამეძლოს წაყვანა. ის სამი მანეთიც რა ვაჲ-ვაგლახით ვიშოვნე.?! მაინც ეცადა თავის მხრით, რაც შაეძლო. მეზობელს მენახშირეს გაურიგდა, უნდა ცხენით წაეყვანა გლახა ხატში და სამაგიოროეში იმისი შვილი პატარა ზურაბი ერთი თვე უნდა მოჯამაგირეთ ჰყოლოდა.—მაგრამ არც ხატი ყაბულობდა ამას და არც ასასს ბედკრულაძეს უნდოდა მეტი მოწამვლა თავისი და თავის ოჯახობის სიცოცხლისა მარად—დღიური ტანჯვით, და ნაკლებულობით, ველარ შეეძლო მშიერი ხალხის ყურება, ეყო რაც ივაგლახა, ერთი დღე კეთილი არ უნახავს...

—გლახამ კარგა ხანს თვალები გაუშტერა სახლის ჭერსა, გალურჯდა, ხელ-ფეხი ხომ სულ ველარ დასძრა, ჯერ რაღაც ილუღლუღა თავის პატარა თამარაზედ და თავის ორმარწყვებისავით ვაჟებზედ, მერე ცოლზედ... უველას ჰკოცნიდა, ეთხოვებოდა, შენდობას სთხოვდა; ყველანი რაღასაც საზარელს ჰგრძნობდნენ. ამ გამოსალმების შემდეგ ენაც ჩაუარდა, მოჰყვა მაღლა ხრიალს, ჩქარა ფეთქამდა, წამწამებს აღარ ახამხამებდა და ერთ ღრმა ამოხვრასთან აღმოატანა ისე მრავალ-ტანჯული ს უ ლ ი ც ა...

აქამდინ ჩუმათ წუწუნებდნენ კუნჭულში და ეხლა კი დიდმა და პატარამ შექნეს ღრიალი და ქვით-ქვითი, თითქოს მთელი ქვეყანა დაიქცაო. მართლა ასეც იყო ბედკრულაძის ოჯახობისთვის.—ცოლი მივარდა გამწარებული პირზედ ჰკოცნიდა და ჩასძახიდა: კაცო, ეგრე უჯიგროთ როგორ მოიქეც, ვის ამარას დაგვყარე შენი ოჯახობა. შენი ობოლ-ოხრები, მე და შენი შვილები, მეტადრე შენი პატარა თამარი? ხომ შენი სული—ჩვენი სულიც იყო; ეხლა ხომ შენთან ჩვენც მოვაკლდით წუთის-სოფელსა... ვინლა გვაჭმევს პურსა, ვინ გვაცხოვრებს, სახლში ვინ შეგვიშვებს, ვინ გვიპატრონებს?! ხომ გლახაობის და მთხოვრობის მეტი არ დაგვრჩენია რა... ვაჲ ჩემ თავს, რომ აქამდინ ჩემი ქერის მეტი არა ვიცოდი რა და ეხლა ლუკმა პურისთვის უნდა კარი-კარს ვიწანწალო... ვაჲმე, ჩემო თავო, ქვრივ-ოხერო და შვილებო დაობლებულნო! იტირეთ შვილებო, ხმა მაღლივ იტირეთ, ეგები ღმერთმა გაიგონოს ჩვენი ქვილ-ყივილი და ნუგეშს არ მოგვაკლოს—მამა დაგიბრუნოთ... ვაჲ, ვაჲ დავ ლუპენით!..—ბევრი ახეთქა თავი ქვასა, ბევრ იცა თავ-პირში და მწარეთ ტიროდა... ჭეშ მარიტათ სატირელიც ჰქონდა... მერე კვდარ მოაცილეს, კუნჭულში მიიყვანეს, მაგრამ მ ინც გულს ეყრებოდა, მუხლები ეკეცებოდ თმას იგლეჯდა, თავი აღარ ახსოვდა, არ მტირალ თამარს უგდებდა ყურსა, თითქმ კიდეც ეჯავრებოდა ისა იმ დროსა; თან გულის-საკლავის სიტყვებით საშინლის ხმი მწარედ გაჰკიოდა და მესტვირესავით შეუსვე ნებლივ სთვლიდა თავის მომავალს ბედსა. საშინელი გლოვის ზარი იყო... მკვდარს მაშინვე დაეხვივნენ ბებრები, თბილ-თბილ ვე გაჭიმეს და შესუდრეს...

—მეორე დღეს შეიკრიფნენ ათიოდ კაც და აგრეთვე დედაკაცები ქელეხის გარდასახ დელათ. გარწმუნებთ ჭამაზედ ბევრი პატივ არავის უნდა. „სადაც იყო მძორი ანუ ლეშ მუნცა შეკრბენ ორბნი“. ამ გვარად სალმრ თოს ცხვარი, ხატში წასაყვანათ რომ ამზად ბდნენ—საქელეხოთ გადაექცათ ბედკრულ ძიანთ.—კიდევ ისესხა საწყალმა ქვრივმა ორ თუმანი ფული დასასაფლავებლად და ამ გვარად უნდოდა თავის მკვდარს გაძღოლოდა და გა პატიოსნებინა, როგორც რიგი იყო, მაგრა ამ წადილს ეს ქმრის გაპატიოსნება იაფათ არ დაუჯდა; აქამდინ თავის თავილა დარჩ თავისუფალი და ეხლა ისიც დააგირავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...იან სად რიფია (*) სად კარგი სადგომია ნავებისთვის, სად შესასვლელია, სად გამოსასვლელი და რომელი ადგილი უფრო სუსტად არის გამაგრებული. ანგლიის, ფრანციის და რუსეთის შემდეგ ჩვენ გვიჭირავს მეოთხე ადგილი ევროპის ზღვის (морской) სახელმწიფოებში. ჩვენ კიდევა გვაქვს გასაგზავნ-გამოსაგზავნი გემები (aviso), რომელნიც 17 ნასკულს (**) სავალს (узловъ) გაივლიან ერთს საათში, და კარგა დიდი და ბარაქიანი ტრანსპორტები, მაგალ., Citta di Napoli და Citta di Genoa, რომლითაც მთელი საკავალერიო პოლკის გადაყვანა შეიძლება თავისის ბარგითა. მე თქვენ აგიწერეთ, თუ რა მდგომარეობაშია ავსტრიის ფლოტი. იმაში ითვლება: 832 ზარბაზანი, 10,937 მეხომალდე, 5,051 სალდათი ზღვის ქვეითი ჯარისა და 67 აფიცერი. აქედგან სჩანს, რომ იტალიის ფლოტი უფრო ძლიერია ავსტრიის ფლოტზედ და იტალიის მეხომალდენი უფრო მარჯვენი არიან და კარგათაც იციან თავიანთი საქმე. იტალია მფლობელობს ახლა ადრიატიკის ზღვაზედ, როგორც იყო ერთს დროს, როცა ვენეციის რესპუბლიკა გაძლიერებული იყო. ის დგას ოტრანტოს და კორფუს შუა და დაიცავს შესავალს სრუტეში, რომლის სიგანე 60 მილია. ჩვენი ფლოტი მთლად ადრიატიკის ზღვაზედ არ არის შეკრობილი. იქ იმყოფება საოპერაციო ფლოტი, რომელსაც წინამძღოლობს ადმირალი პერსანო.

ადმირალი პერსანო სამოცი წლისაა, ქერა. ანგლიური სახე აქვს და ფრანცუზის მკვირცხლი ხასიათი. როცა ის იყო ზღვის (морской) მინისტრი, იმას საშინლად უძნელდებოდა სიტყვის თქმა, მაგრამ აქ კი, თავის სადმირალო ხომალდზედ, ზარბაზნებით გარე-მორტყმული, ის თავის შესაფერს ადგილზედ არის. იმან დაწვრილებით იცის სახელი ყველა სახომალდო ნივთისა, სცნობს ყოველს მცირე ნიშანს და სრულებით ვერას შეუძლიან ის შეაძრწუნოს. ამ კაცს დიდათ შეაშფოთებდა ხოლმე პალატაში უბრალო ხუმრობა, წინააღმდეგი სიტყვა და ურიგო ღიმილი. მაგრამ ზღვაში კი ის უშიშარია და მზათ არის მეებას ზღვას, ქარიშხალს, ღელვას, ზარბაზნის ტყვიას და ყუმბარებს. პერსანო ყოველთვის იმყოფებოდა სარდინიის სამსახურში.

პირველად იმან თავი ისახელა ანკონის აღებაში 1860 წელ. სხვა ყველა იმის საქმეებში ამისთანა შესანიშნავი არა არის რა. ის გამბედავი და მამაცია და ზოგიერთხელ ეს სიმამაცე ისე გაიტაცებს ხოლმე, რომ თითქმის გააგიჟებს. თუ იმას თავში ის აზრი შეუჯდა, რომ პოლა (ავსტრიის კარგი ნავთ-სადგურიანი ქალაქია, ილლირიაში, ადრიატიკის ზღვაზედ) უნდა დავწვაო, ის გასწირავს თავს, დაჰღუპავს ფლოტს და თავის განზრახვას მაინც აასრულებს. პერსანო სენატორია და ანნუნსიადის ორდენი აქვს.

გ ა რ ი ბ ა ლ დ ი ს ა გ ა ნ ვ ო ლ ო ნ ტ ე რ ე ბ ი ს ნ ა ხ ვ ა დ ა ი მ ი ს ი ს ი ტ ყ ვ ა ა ფ ი ც რ ე ბ თ ა ნ. იტალიის გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა.

„ამ დღეებში გარიბალდიმ ნახა ვოლონტერები გალლარეტეში და ვარეზეში. იმას მიეგებნენ დიდის ალტაცებით. აფიცრები წარუდგნენ სამუნიციპალო სასახლეში. ღენერალმა გარიბალდიმ უთხრა აფიცრებს შემდეგი სიტყვები:

„მე ხ ლახლა თქვენ შორის ვიმყოფები, რომ თქვენთან ერთად გავათაოთ ის საქმე, რომლის აღსრულებაც ჩვეენ მაშინ (1860 წ.) გვსურდა. რას არ მოახდენს კაცი, თუ ჰყავს ამისთანა ხალხი (უჩვენებს ვოლონტერეებზედ) და თუ ამ ხალხს ასეთი აფიცრები წინამძღოლობენ, როგორც თქვენ?!

„მე დარწმუნებული ვარ, რომ იტალია ჩვენზედ კმაყოფილი დარჩება.“

ღენერალი დაბრუნდა ისევ კომოში.

—5 (17) ივნისს კაროლი განემგზავრა არმიაში და თან წაიყვანა ღენერალი ლამარმორა. იქვე წავიდა ზღვის მინისტრი, რომელიც დივიზიას მართავს. სელლა, ადრინდელი იტალიის საფინანსო მინისტრი, გარიბალდისთან ვოლონტერათ ჩაიწერა და 6 (18) ივნისს ფლორენციიდამ წავიდა. ღენერალმა პალავიჩინომ, რომელმაც შეიპყრო გარიბალდი ასპრომონტოს, (*) გარიბალდის ხელ-ქვეით თავს იდვა წინამძღოლობა ვოლონტერების დივიზიისა.

გარიბალდიმ უთხრა შემდეგი სიტყვა ლეკკოში თავის ვოლონტერებს: „მეგობარნო! თქვენც გეცოდინებათ, რომ ამ ქვეყანაში შემთხვევასაც თავისი გავლენა აქვს. ზღვის მოხელეს ის ხან დაღუპავს უმზადებს და ხან შეამთხვევს დიდს სიმდიდრეს. მხედარს კი, ძალიან ხშირად მოხდება რომ ტყვია უკანა რიგისას განგმირავს, მაშინ როდესაც იმისი ამხანაგი, წინამხედარი დარჩება მთელი და უვნებელი.

„თქვენ ყველანი ხართ წარმომადგენელნი უბედნიერესის შთამომავლობისა. მე ახლა ცალი ფეხი სამარეში მიდგა, მაგრამ მე ვგრძნობ დიდს ბედნიერებას, რომ ვარ თქვენ შორის! თქვენამდის არსებობდა ურიცხვი შთამომავლობა, რომელნიც ხედავდნენ, თუ როგორ თელავდნენ იმათს მიწას უცხო ქვეყნელები და იმათი დაქირავებული ჯარები თუ როგორ აპატიურებდნენ იმათს დედაკაცებსა. თქვენ უნდა განათავისუფლოთ ეს მიწა და თქვენი შვილნი და შვილისშვილნი გაამაყებულნი თქვენის სახელით, თავს მაღლა აიღებენ; მე ამას წინათვე გეუბნებით!

„თქვენი ხვედრია, რომ გაიმარჯოთ; უთხარით უცხო ქვეყნის ლაშქრობას, რომ ტყულათ მიაჩნიათ იმათ თავიანთი თავი უძლეველათ, იმისთვის რომ არიან სამხედროთ გაწვრთნილნი. იმათ, რომელთაც თავზედ გხურავთ ხის ქერქი ქუდი, ან გაქვთ მოხვეული ცხვირსახოცი, ოღონდ კი თოფები დაგირიგონ და მერმე გიყურონ, თუ რას ჩაიდენთ!

„მე კმაყოფილი ვარ, რომ თქვენ შორისა ვარ, და ეჭვი არ არის, რომ ჩვენც რასმეს გავაკეთებთ.—არა თუ?“

## ამბავი სამხედრო მოქმედებისა გერმანიაში.

„ტაიმსის“ („Times“) სიტყვით ღანოვერი 58 საათში დაიპყრეს პრუსსიის ჯარებმა. ვიდრე ფრანკფურტის სეიმი მიიღებდა ავსტრიის წინადადებას (предложенie), პრუსსიის ღენერლებმა მიიღეს ბძანება ღანოვერში შესასვლელათ. პრუსსიის ჯარები ორის მხრით შევიდნენ ღანოვერში: ღენერალი მანტეიფელი ჩრდილოეთით შევიდა და სხვა პრუსსიის ჯარები-აღმოსავლეთით. რაკი პრუსსიის ჯარებმა დაიჭირეს ღანოვერი, საქსონია და ღესსენ-კასსელი, გერმანიის კავშირს იმდენი ჯარი აღარ ეყოლება ახლა, რამდენიც უნდოდა, რომ პრუსსიის საბრძოლად გამოეყვანა.

—18 ივნის სილეზიის გაზეთში სწერენ ღერლიციდამ: „ეჭვი არ არის, რომ საქსონიის არმიას ჰქონდა განზრახვა შეერთებულ იყო ავსტრიის ჯარებთან ლებაუს მახლობლივ. ეს ჯარები უნდა მოსულიყვნენ რეიხენბერგიდამ და ციტტაუდამ და შემდეგ ერთად უნდა განელაშქრათ პრუსსიელებზედ. ეს პლანი ჩაეშალათ იმითი, რომ პრუსსიელებმა მოასწრეს სამის პუნკტის (უმთავრესის სამხედრო ადგილის) დაპყრობა: სტრელისა, ვეინსენბერგისა და რეიხენბახისა. საქსონელებს მეტი ღონე არა ჰქონდათ თავიანთი ჯარები მდინარის ელბის გაღმა უნდა გადაეტყორცნათ საჩქაროთ.—პრუსსიის ჯარების მხედართ-მთავარმა გამოსცა პროკლამაცია, რომელიც ლებაუში ყოველს ქალაქის კუთხეზედ იყო მიკრული, და რომელიც მოითხოვდა, რომ ადგილის მცხოვრებლებმა მოუტანონ ხოლმე თვითოეულს პრუსსიის სალდათს ყოველს დღეს ნახევარი გირვანქა ხორცი, ორი გირვანქა პური, ერთი ლოტი (სამი მისხალი) ყავა, 4 კრუჟკა პივა (ლუდი) და 3 სიგარა, აგრეთვე ფურაჟი (სარჩო) ცხენებისათვის; ამის-

(*) რიფი არის ვიწრო მიწა ცხვირსავით ზღვაში შესული. ეს იქნება ხოლმე ხან წყლის ქვეშ, ხან წყლის ზევით. როცა ზღვა მიიქცევა (отливъ), მაშინ რიფი გამოჩნდება, და როდესაც ზღვა მოიქცევა (приливъ), მაშინ რიფი დაიმალება.

(**) ნასკულს (узелъ) ზღვით მოსიარულობაში ეძახიან განსაზღვრულს მანძილს და ამითი შეიტყობს გემის ჩქარი მოსიარულობენ ნასკული შეიცავს 1 იტალიურს მილს, ანუ 1 ვერსს ნახევარს.

(*) 1860 წელს, როდესაც გარიბალდიმ წაართვა ნეაპოლის კაროლს იმისი საკაროლო და შეუერთა მთელს იტალიას, შემდეგ ამისა მთელი იტალიის წადილი მხოლოდ ის იყო, რომ პაპისთვის იმის სამფლობელო წაერთმიათ და ძველი იტალიის სატახტო ქალაქი რომი ისევ იტალიისთვის დაებრუნებინათ. ამისთვის 1862 წელს გარიბალდიმ აღძრა იტალია, გავიდა სიცილიის კუნძულზედ, იქიდამ გამოვიდა ნეაპოლში, შეაგროვა ვოლონტერები და უნდოდა რომზედ გალაშქრება, ამ სიტყვებით: „ან მოვკვდეთ, ან რომი დავიპყროთ“. 1848 წლის აქეთ რომის პაპას იცავს ფრანციის ჯარი. ნაპოლეონის შიშით იტალიამ არ მისცა ნება გარიბალდის, და მუქარით რომ ვერა შეაგონა რა, იმან შემდეგ ჯარი შეაგროვა ჩიალდინის წინამძღოლობის ქვეშ, რომ იმას ძალით შეეყენებინა გარიბალდი. ჩიალდინიმ გაგზავნა პოლკოვნიკი პალავიჩინო, რომელმაც მოასწრო გარიბალდის და იმის ვოლონტერებს ა ს პ რ ო მ ო ნ ტ ო ს სიმაღლეზედ. გარიბალდიმ როდესაც დაინახა იტალიის ჯარი თავის პირდაპირ, იმავ წამს გასცა ბძანება, რომ ვოლონტერებმა არ ესროლონ. იმას არ სურდა, რომ ძმის სისხლი ძმის ხელით დაღვრილიყო; მაგრამ ჯარმა მაინც თოფის სროლა დაუწყო ვოლონტერებს. გარიბალდის ფეხში ტყვია მოარტყეს. პალავიჩინომ შეიპყრო გარიბალდი და წამოიყვანა. ის, როგორც მთავრობის მოწინააღმდეგე, ციხეში ჩასვეს. ცოტა ხანის შემდეგ კაროლმა მიუტევა გარიბალდის, რომელიც იმავ წამს ერთს პატარა კუნძულს კაპრერას წავიდა და აქამომდე ამ კუნძულს არ მოშორებია.

---

სამარხი ფული არამზადაძისგან აიღო ვალათ, იმ პირობით, რომ სამის დღის შემდეგ ქრმის დამარხვისა უნდა მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე დედაკაცათ ემსახურნა ელისაბიდს ღორმიშხანის სახლში... მაშ რა ექნა? სხვა ილაჯი და ღონე არ იყო. „მკვდარი ძლიერია“, გლეხნი იტყვიან. აგრეც არის, მეტადრე იმათთვის რომ ისე ცდილობენ მკვდრის გაპატიოსნებას და ისე შეუძლებელნი კი არიან და ყოვლის მხრით ფრთა-მოკვეცილნი...

მღვდელიც, როგორც იყო, შეიჯერიეს წ ი ნ-გ ა ძ ღ ო ლ ა ზ ე დ: თუმცა, მართალია, ნამცნები გვაქვს ქრისტესგან, ეუბნებოდა გ ლ ა-ხ ა ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი ჭირისუფლებს, უსასყიდლოთ მიგიღებიეთ, უსასყიდლოთვე მისცემდეთ, მაგრამ ეს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ზ ე დ ჰ კ ი-დია, თითონ მე რო ხელს ვიღებდე სამკვიდროზედ, თქვენ არ უნდა შეიწიოთ, მიცვალებულის სულისათვის ძალიან ძნელი და მძიმე არის ეს. სიკვდილი, შვილნო, მესამედშობის კარებია: პირველად იშვება კაცი ხორციელად,—დედის მუცლიდგან, მეორეთ სულიერად. წყლით, ნათლობაში, და სიკვდილის შემდეგ საიქიოს მესამედ იშვება, ამიტომ დიახ დიდი ლოცვა და დიდება უნდა შეწიროს მოძღვარმა გარდაცვალებულის გლახას სულისთვის. ამიტომ, შვილნო, დაიწყო კიდევ, კაცის მთელი სიცოცხლე ღვთის დიდება უნდა იყოს-მეტადრე სიკვდილის შემდეგ განსაკუთრებით ადამიანი ღვთისა და მ ღ ვ დ ლ ი-ს ა ა რ ი ს. ეხლა თითონ თქვენ იფიქრეთ ჩემ-მიერ სამკვდროს აღება ვისთვის უფრო სასარგებლოა ჩემთვის, თუ გარდაცვალებულის გლახას სულისთვის?!

—არა, შენმა მადლმა, შენზედ უფრო უპრიანია იმტელსა კითხულობ, მაგრამ შეუძლებელი, ხელ-მოკლე კაცის ანგარიში განა არ მოგეხსენებათ, ვითომ იმაზედ შემოგკადრეთ ასე ცოტა თორემ, ვინ არ იცისს ჩვენი პატრონი, ცოცხლისაც და მკვდრისაც, შენ ხარ, წამოიძახა ერთმა გლეხ-კაცმა...

—ეგ მართალია, დათუნი, მაგრამ ესეც არის ნათქვამი: ღარიბის პური ტკბილიაო... უპასუხა მოძღვარმა.

—მაშ მიართვი, ბიჭო, მიართვი, რა გაეწყობა... ამ სიტყვებზედ ერთმა იქ მდგომმა, ამოიღო და ორი აბაზიც მისცა...

—ახლა ამ დროს მინდა წარმოგიდგინო, რა ამბავშია, რას ამბობს და რას ფიქრობს გლახა ბედკრულაძის ცოლი, მაგრამ ეშიშობ, ბედნიერო მკითხველო, ვაჲ თუ გულ-მოცელი აგიმღვრიოს იმისმა მწარე და მკვახე მკვახე სიტყვებმა, ამიტომ შენი სასმენელი ვერ გაიგონებს ჩემგან გლახას ჯალაბის ელისაბედის მწარე მოთქმას თავის ბედ-იღბალზედ და წილ-ხვედრზედ მომავალში... ვიცი შენ ეს არ გესიამოვნება და მანამ არც მე მოგაწყენ თავს...

—მაშა აბა ამას მაინც შეხედეთ, ბედნიერო მკითხველო. გამოასვენეს სახლიდგან ცხედარი (რა საკვირველია: ჯვარი აქაურობას ეწეროს, და თავის სეხნია მოიკითხოს, ჩვენთან რა ხელი აქვს?!) საცოდავი, ცხოვრებისაგან გაცვეთილი და გახეხილი, ხალხისაგან მოძულებული და ფეხ ქვეშ გაქელილი,—ყველასგან დავიწყებული (თავის სახლობის გარდა) საწყალი ა ს ა ს გ ლ ა ხ ა ბ ე დ-კ რ უ ლ ა ძ ე მიაქვთ დასამარხავად თან გზა და გზა ანდერძს უგებენ; თეთრი ფიცარის კუბოში ასვენია გლახა და ექვსი კაცი ეწევა ცხედარს, ქვეშ დიდი ტალახია, ზევიდგან მსხვილი კოკური წვიმა დასდის თითქოს ცასაც შეჰბრალებია და ამ ბედკრულს—კაცს დასტირისო.

რათ მოვიდა ეს საწყალი ამ სოფელში? ვის ესტუმრა? რა მოიტანა და ან რა წაიღო? რა ისიამოვნა? რა კვალი დაარჩინა სიცოცხლეში. ვის რა არგო, ან თვითონ რა ირგო? მეტი კაცი იყო განა. ბედნიერო მკითხველო? ასასები და იმით ეგზავსი ხალხი სულ მეტი ხალხნი არიან, არა, ბედნიერო მკითხველო? მ ა შ მეც ა მ ო დ დ ა ვ შ ვ ე რ ი, რომ მეტ კაცებზედ მოვცდი და თქვენც მოგაცდინეთ განა? არა, ბედნიერო მკითხველო, სულ—სწრაფი ნუ ხარ, მოითმინეთ: მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო, ნათქვამია;—კარგა იფიქრე: ნუ თუ მეტნი არიან მუშა-ხალხი—ბედკრულაძეები, რომელნიც თავის თავის გაწირვით უყარაულებენ ჩვენს ქონებასა.... —ისიც ვიცი, რასაკვირველია, ძალიან გსურს გაიგო (ცარიელი ყურადღებაც კარგია) საწყალ გლახას დარჩნენ: ცოლი, პატარა ქალი, ვაჟები,—მართლა ტოპრაკებით დაიარებიან კარი-კარს პურის სათხოვნელად, თუ რა ქნესო, ვაჟებმა რა ხელობა დაიჭირეს და ცოლმა და ქალმა რით იცეს ნუგეშიო? დავიჯეროთ გლახასთანა მართალი კაცის ოჯახობა ისე უთესლოდ უნდა გადაიბუგოსო?... მანამ თქვენ ზევით მოხსენებულზედ იფიქრებთ, ბედნიერო მკითხველო, მე გლახას (*) სახლობის გარდა საეალს მოგითხრობთ, მაგრამ ის სულ სხვა სურათის ხალხი შეიქნა მამის გარდაცვალების შემდეგ და სულ სხვა გზაზედ, თუმცა იმისთანავე ეკლიანზედ, გაიარეს თავიანთ სიცოცხლეში,—ამიტომ ვიმედოვნებ, რომ მომიტევებთ, თუ რამდენიმე ხანის გამოშვებით მოისმენთ იმათ ამბავს სუსტის მგოსნისაგან.

ალ. ცაგარელი.

15 მაისს.
1866 წელსა.
ტფილისი.

(*) გლახა—საკუთარი სახელია ქართველებში; როდესაც დედ-მამას შვილი არა რჩებათ—გლახას დაარქმევენ ხოლმე უფრო შეგვრჩებაო.

გამო დამზადებული ხორაგი, რომელიც იყო ლებაუს გაგზავნილი, ისევ უკან დააბრუნებინეს.

—ერთის საქსონიის ქალაქიდამ, ლეიპციგიდამ, 19 ივნისს, სწერენ: „ბავარიის“ რკინის გზის სტანციაზედ, როგორც კი პრუსსიის წინა რაზმები გამოჩნდნენ, დილის 11 საათზედ, იმავ წამს ხალხმა „ურა!“—დაიყვირა. როდესაც პრუსსიელებმა რატუშას წინ (რატუშა—ვაჭრების სამმართველოა) მცველები დააყენეს, მაშინაც ხალხში დაიძახეს: „ურა“! აგრეთვე მაშინაც „ურა“! დაიძახეს, როდესაც ლეიპციგის კოშკში პრუსსიის ჯარი შევიდა, საქსონიის ჯარის მაგიერად. რატუშას წინ დაყენებულმა ყარაულებმა შესძრეს ყვავილის ბაზარი. ყოვლის მხრით მოჰქონდათ მხედრებთან ყვავილის თაიგულები მოვაჭრეებს. სალდათები ისე აავსეს თაიგულებითა, რომ არც კი იცოდნენ სად შეენახათ. კოშკი აივსო ქალაქის მცხოვრებლებითა, რომელნიც გამოუცხადებდნენ მოსულს ჯარს თავის სიყვარულს. ისინი ხელ-გაუყრით დასეირნობდნენ მხედრებთან და მეგობრულად საუბრობდნენ. ყოვლის მხარიდგან ამბავი მოგვდის, რომ საქსონიელები ძლიერ მეგობრულად ემყრობიან პრუსსიელებს; მხედრობა ყოველგან კარგათ არჩევს მმართებლობას, რომელსაც ებძვის და ხალხს, რომელსაც პატივსა სცემს.“

ხმა არის ვითომც ავსტრიაში შეთქმულობა ყოფილა. ამაზედ საჯაროსნო გაზეთში სწერენ, 19 ივნისს, ვენიდამ: ავსტრიის იმპერიის სამხრეთის ნაწილში, როგორც სჩანს, დიდი შეთქმულობა (заговоръ) შემდგარა. ამ შეთქმულობის უმთავრესი ადგილი ყოფილა გერცი და უდინო. გერცის სამუნიციპალო სოვეტის მდივანი (секретарь), უ. ფევეტი, შეიპყრეს და იმის ქაღალდებიდგან სჩანს, რომ სახელმწიფო მოხელეებსაც მიუღიათ (чиновники) ამ შეთქმულობაში მონაწილეობა.

## ტელეგრამმები.

პეტერბურგში მიღებული.

ბერლინი, 7 (19) ივნისს. დღეს ერთს პრუსსიის გაზეთში არის დაბეჭდილი პრუსსიის კაროლის ვილჰელმის მანიფესტი. ის იწყება ამ სიტყვებით: „ჩემს ხალხს!“ მანიფესტი უჩვენებს, რომ ავსტრია პრუსსიას აღარ რაცხავს თავის მოკავშირეთ და ხდის იმას მხოლოდ თავის მოპირდაპირე მტრად და ამის გამოც იმან გერმანიის სახელმწიფოები შეიკავშირა, რომ პრუსსია დაამციროს. მაგრამ პრუსსიის ხალხში კიდევ არის ის სული, რომელიც იმათ 1813 წელს გაამხნევებდა. პრუსსიის მტრები ძალიან სცდებიან, თუ მართლა ფიქრობენ, რომ პრუსსია შინაგანის განხეთქილებით შესუსტდაო; მტრის წინაალმდეგ პრუსსიის ხალხი ერთ სულად და მტკიცედ დგას. რაკი არ მოხერხდა მშვიდობიანობის წადილი, რომელიც ჩვენ, ანგლიამ ფრანციამ და რუსეთმა, ერთად გამოვაცხადეთ, პრუსსიას მეტი ღონის-ძიება არა ჰქონდა, უნდა ომი დაეწყო თავის სიცოცხლის დასაცველათ. მანიფესტი ამ სიტყვებით თავდება: ღმერთო, მოგვეცი ჩვენ გამარჯვება და მაშინ შევიძლებთ სუსტი კავშირი, რომელიც გერმანიის ქვეყნებს შუა იმყოფება, გავამაგროთ და შევიქმნათ კეთილ-მისაგები!.

ფლორენცია, 8 (20) ივნისს. ფლორენციის ჟურნალებში სწერენ, რომ იტალიის და გერმანიის ხალხობის ალსადგენათ, საჭიროა, რომ ავსტრიის სული აღარ იყოს არც იტალიაში და არც გერმანიაში; უამისოთ იტალიაც და პრუსსიაც გაქრება თავ-თავიანთი ხალხობის პრინციპებითა (принципъ національности), რომლისაც თვით ისინი არიან წარმომადგენელნი. კაროლნი ვილჰემი და ვიკტორ-ემმანუელი თავის პროგრამმას აღასრულებენ ბოლომდის და არავითარი დათმობა იმათგან არ იქნის შესაძლებელი.

—კაროლმა ვიკტორ-ემმანუელმა გამოსცა პროკლამაცია სანაციონალო გვარდიასთან და იმაში აი რა სწერია: „მე რეგენტობას (*) გადავსცემ ღერცოგს კარინიან-სავოელს (ძმას იმისას); თქვენ დაიცავთ მშვიდობას და წესიერებას, რომ სჯულის პატივის-ცემით დაამყაროთ თავისუფლება.“

კაროლის მანიფესტი ამ სიტყვებით თავდება: „მე შემოვირტყამ მახვილს, რომელიც მერტყა გოიტოს, პალესტროს და სანმარტინოს. მე ვგრძნობ, რომ აღვასრულებ აღთქმას, რომელიც მამის ჩემის საფლავზედ მიმიცია: მე ერთჯერ კიდევ ვიქნები პირველი მხედარი იტალიის გასათავისუფლებლად.“

—9 (28) ივნისს ნიუ-იორკიდამ შეტყობილის ანბით, ღენერლის სპირის წინამძღოლობით 2 ათასი ფენიელი გადავიდა კანადის საზღვარზედ და დაიჭირა პიჯონ-გოლლი. ამბობენ, ვითომც იმათ დაუმარცხებიათ ანგლიის კავალერია და წაურთმევიათ სამი ბაირაღი. ჩრდილოეთის-ამირეკის მთავრობამ შეიპყრო ბევრი ფენიელის აფიცრები. —ვაშინგტონის სენატი დასთანხმდა იმ წარმოდგენაზედ, რომელიც ურჩევს კავშირის აღდგინებას, რომლის ძალითაც წარმომადგენლობა იქნება დაფუძნებული ხმის მქონებელის მცხოვრებლების რიცხვზედ. ვინც კი შეერთებულს-შტატებში დაბადებულან და ან თუ ამერიკელნი გამხდარან, ისინი ყველანი შეიქნებიან შეერთებულ-შტატების მოქალაქეებად.

ხური (გრაუბინდენშია) 12 (2) ივნისს. მგზავრები იწერებიან, რომ იტალიის ჯარებმა დაიჭირეს ვიწრო გასავალი სტელვიო (ის არის მთაში ვიწრო გასავალი იტალიის და ტიროლის შორის, აგრეთვე ამაზედ მიდის გზა მილანიდამ ინსპრუკს) და ქალაქი ბლურუსი (2). წინაყარაულები დგანან ფინსტერმიუნცთანა (3).

ფრანკფურტი-მაინზედ, 12 (24) ივნისს. დღეს მოვიდა აქ ამბავი, რომ იტალიელები 11 (24) ივნისს გადავიდნენ მინჩიოზედ, გოიტოს მახლობლივ, სამხრეთ-დასავლეთით როვერბელლაზედ.

პრაგა, 12 (24) ივნისს. პრუსსიის ჯარმა დაიჭირა ლაბლონცი, ფრიდლანდი, კრატცაუ, ხაინსბახი, შლუკენაუ, რუმბურღი. ისინი უპირებენ დაცემას ქალაქებს: რეიხენბერგს, ტრაუტენაუს და გაიდას. პრუსსიელები, რომელთაც უნდოდათ ბოდენბახზედ დაცემა, უეცრად პირნესკენ უკან დაიწიეს; ამის შემდეგ იმათ დიდის ძალით დაიჭირეს კრეიბითცი და ნეიდერფლი. როგორც სჩანს პრუსსიელების ამისთანა განზრახვა არისო, რომ ავსტრიის სილეზიაში შევიდნენ.

მილანი, 12 (24) ივნისს. ამბობენ, ვითომც გარიბალდი აპირობს ტიროლიდამ პირდაპირ მიუნხენს დაეცეს. იტალიელებმა კიდეც დაიჭირეს ბორმიო (4)

ბერლინი 12 (24) ივნისს. აფიციალურის ცნობით, ღანოვერის მაიორი იაკობი მივიდა გოტას მოსალაპარაკებლად, თუ რა პირობით უნდა (капитуляція) ღანოვერის ჯარი დამორჩილდეს.

პარიჟი, 13 (25) ივნისს. დღეს „მონიტორში“ აცხადებენ: იტალიის არმია მინჩიოზედ რომ გადვიდა გოიტოსთან, უბრძოლოთ დაიჭირა ვალეჯიო და კურტატონე.

ვენა, 13 (25) ივნისს. მანტუის ციხის ავსტრიის გარნიზონი ციხიდგან გამოვიდა საბრძოლათ (сдѣлалъ вылазку) იტალიის საობსერვაციო ჯართან კურტატონესთან. იტალიელებმა უკან დაიწიეს.

ბოღემიაში პრუსსიის ჯარმა დაიჭირა რეიხენბერგი და კამნიცი. ლეიპპა და შლუკენაუ დასწვეს.

ვენა, 14 (26) ივნისს. (პარიჟით და ბერლინით მიღებული). თანახმათ მოწერილობისა ერცღერცოგი ალბრეხტისა, 12 (24) ივნისს, საღამოზედ ავსტრიელები მივიდნენ მინჩიოზედ, საცა დაეცნენ იტალიელები, აიღეს მონტე-ვენტო და კუსტოცო, მრავალი ზარბაზნები და 2 ათასი კაცი ტყვეთ წაიყვანეს. ავსტრიის არმია ძალიან მხნეთ ომობდა.

კაროლმა ვიკტორ-ემმანუელმა, სამის კორპუსით და რეზერვის კავალერიით (ცხენოსნებით) ალბარედოს მიჰმართა, სადაც იმედი აქვს ავსტრიის ჯარს შეხვდეს მდინარეს ეჩის გაღმა.

პრინცი ამადეი და სხვა ბევრი იტალიელების ღენერლები დაიჭრა.

ფლორენცია, 13 (25) ივნისს. გუშინ პირველი იტალიის კორპუსი, რომ დაეცა ავსტრიელების სადგომს (позиція) ვერონის და პესკიერის შუა, ვერ გაუმარჯვენია.

პარიჟი, 14 (26) ივნის. „მონიტორში“ არის გამოცხადებული, რომ იტალიის არმია მინჩიოზედ უკან გადმოვიდა. ჩიალდინი ჯერ მდინარე პოზედ არ გადასულა.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 23 ივნისს.

ხელმწიფე იმპერატორი დაბრუნდა პეტერბურგს 22-ს.

პრუსსიელებმა საშინლათ დაამარცხეს ავსტრიის არმია 21 ივნისს კენიგგრეცთან. ორივე მეომარს მხარეს ბევრი ჰყავთ დაჭრილი და დახოცილი. ავსტრიელებმა უკან კენიგგრეცისკენ დაიწიეს.

25 ივნისს. ავსტრიის იმპერატორმა ვენეცია ფრანციის იმპერატორს დაუთმო და სთხოვა იმას, რომ შერიგებისთვის შუამავლობა მიიღოს მეომარს სახელმწიფოებს შორის. ნაპოლეონმა სთხოვა პრუსსიის და იტალიის კაროლებს, რომ იმათ ომიანობა გაათავონ. —„ავსტრიის სამინისტრო გაზეთი“ აცხადებს, რომ ფრანციასთან კარგათ მიდის მიწერ-მოწერა იმაზედ, რომ ავსტრიის სამხრეთის არმია იტალიიდგან დაბრუნდეს ჩრდილოეთის არმიასთან შესაერთებლათ. ავსტრიის ღენერალი გაბლენცი, სადოვთან (კენიგგრეცთან ახლოს რომ ომი იყო, იმის შემდეგ იყო გაგზავნილი პრუსსიის არმიის უმთავრესს ადგილ-სადგომს (главная квартира) პარლამენტორათ, (*) მაგრამ არ მიიღეს.

პეტერბურგი, 27 ივნისს. ავსტრია და პრუსსია თანახმანი არიან შერიგებაზედ, ნაპოლეონის შუამდგომლობით, რომელმაც იკისრა ეს საქმე ვენეციის დათმობისათვის.

—ბირჟის მოძრაობა ყველგან გაცოცხლებულია.

პეტერბურგი, 28 ივნისს.

პორტა თანახმაა აღიაროს რუმინიის მთავარი. ავსტრია მზათ არის, ბრძოლა განაგრძოს და ვენგრიას საომრათ მოიწვევს. პრუსსიას შერიგება არა ჰსურს. იტალიელები დაუბრკოლებლივ მდინარე პოზედ გადავიდნენ. სამხრეთის-ავსტრიის არმია ჩრდილოეთისკენ მიდის.

პეტერბურგი, 29 ივნისს.

გუშინდელი ვენის პოჩტა აფიციალურად აცნობებს, რომ ფრანცია აპირებს საქმეში გარევას. ფრანციის ფლოტი ვენეციაში წავიდა. ავსტრიელებმა ვენეცია დასტოვეს.

(*) რეგენტი ჰქვიან პირს, რომელსაც ხელმწიფე ჩააბარებს დროებით მმართებლობას სახელმწიფოსას ავათმყოფობის ან სხვა შეუძლებლობის გამო.

(2) პატარა ქალაქია ტიროლში, მდინარე ეჩის ხეობაში.

(3) მთაში ვიწრო გასავალი, ტიროლისა და გრაუბინდენს შორის.

(4) დაბაა მდინარეების ფრიდოლისა და ადდის შუა.

(5) პარლამენტორი (ლათინ. სიტყვაა) პირია, რომელიც გაიგზავნება მტერთან მეომარ მხარესთან, მოსალაპარაკებლათ.

## სახაზინო განცხადებანი.

(Закавказскій Вѣстникъ, 1866 г. № 24.)

1) ტფილისის უეზდის სამსჯავროში გადასწყვიტე[s], რომ იქვე საყოველთაოთ გაისყიდოს უძრავი ქონება, რომელიც ტფილისის მცხოვრებს ნონია აიზეგო[ვ]ს ეკუთვნის და რომელიც იმყოფება ქ. ტფილისის 3-ე კვარტალის 3-მე ნაწილში. ეს ქონება შეიცავს ერთ-ეტაჟიანს სახლს, რომელსაც სარდაფი აქვს და სხვა მიშენებულება. მთლად ეს ქონება 700 მან. არის დაფასებული. ის გაისყიდება მომავალის სექტემბრის 6 რიცხვს. პერეტორჟკა 3 დღის შემდეგ მოხდება.

2) კონკურსის სამმართველო, რომელიც დაწესდა შეუძლებელის მოვალეს, ტფილისის მოქალაქის, სოლომონ ხარაზოვის საქმეების გამო, გამოაცხადებს საზოგადო საცნობლათ, რომ იმან საჭიროდ დაინახა სოლომონ ხარაზოვის სახლი გაყიდოს. ეს სახლი იმყოფება ქ. ტფილისის 2-რე კვარტალის 2-რე ნაწილში. ვისაც ამ ქონების ყიდვა უნდა, ის უნდა წავიდეს ღენერალ-მაიორ კორლანოვთან, რომელიც არის კონკურსის თავს-მჯდომარე (პრედსედატელი), ანუ ტფილისის საპატიო მოქალაქეებთან: ზაქარია სარაჯიშვილთან და იაგორა ფრიდონოვთან, რომელნიც არიან კურატორნი.

3) გორის უეზდის სამსჯავროში დანიშნეს გაყიდვა უძრავის მამულისა, რომელიც ეკუვნის კნეინა მართა მაჩაბელისას (დაბადებით საამ ამირეჯიბისას) და იმყოფება სურამის უჩასტკაში, სოფლებს წაგვილში და ავლევში. ეს მამული შეიცავს ვენახებს და სახნავ მიწას, რომელიც ჯერ გაუყოფელია და რომელშიაც მონაწილეობა აქვს იმის დას პოდპორუჩიცას ანნა მამაცოვისას. ამ მამულის ნახევარი შემოსავალი, რომელიც ხვდება თავის წილათ მართა მაჩაბელისას, დაფასებულია 559 მან. ამ მამულის გაყიდვის ვადა ...

4) ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში გასასყიდად დანიშნეს მამული, რომელიც მათე ბაქტურაძეს ეკუთვნის, იმყოფება ქ. ქუთაისს და შეიცავს ორ ეტაჟიანს სახლს სამზარეულოთი და ეზოთი. ეს მამული არის დაფასებული 1300 მან. იმისი გაყიდვის ვადა მომავალის ნოემბრის 10-ს არის დანიშნული.

5) იმავე სასამართლომ დანიშნა ახალციხის უეზდის სამმართველოში გაყიდვა ქონებისა, რომელიც ახალციხის მცხოვრებთ, მიხეილს, იობას და გრიგოლ ნაზაროვებს ეკუთვნით. ეს მამული იმყოფება ქ. ახალციხეში და შეიცავს ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლს მიწით, რომელიც 186 მან. არის დაფასებული. იმის გასყიდვის ვადა მომავალს 8 აგვისტოს არის დანიშნული.

6) იმავე სასამართლომ გადაწყვიტა გაყიდვა ქონებისა, რომელიც აზნაურს გერს დავითის ძეს ჩხეიძეს და იმის ცოლს სალომეს ეკუთვნის. ეს ქონება იმყოფება ხარაგოულის უჩასტკაში, სოფელს ელაზნაურს და შეიცავს სახნავ მიწას, რომელიც არის დაფასებული 2920 მან. გაყიდვის ვადა მომავალს 9 ნოემბერს არის დანიშნული.

## ბიბლიოგრაფიული ცნობა.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა—„სახელმძღვანელო რუსულის ენის სასწავლებლად ახალ-მოსწავლე ქართველ ყმაწვილებისთვის“, შედგენილი გ. კ—შვილის მიერ.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ტფილისში, გალავინის პროსპექტზედ, კ. ზუბალოვის სახლში ისყიდება:

ჩონგური, ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან. ფასი 1 მანეთი.

გრიბულ, ზღაპრული მოთხრობა ჟორჟსანდისა, ფრანციულიდგან გადმოთარგმნილი დავით ყიფიანისაგან. ფასი 2 აბაზი.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, შედგენილი ი. გ. ფასი 1 აბაზი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го іюля 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.